

ათვლინების პოპულაციის მდგომარეობის შეფასება და კონსერვაციის  
პერსპექტივები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში

ნინო ვასაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობის  
(MS) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ნათია კოპალიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	1
შესავალი.....	1
ანთროპოგენური ფაქტორები .....	4
თანჯერა.....	4
ქიმიური დაბინძურება .....	5
ბგერითი დაბინძურება .....	8
გადაჭარბებული თევზჭერა .....	9
ბუნებრივი ფაქტორები.....	10
დაავადებები .....	10
მასალა და მეთოდები.....	12
საკვლევი ტერიტორია.....	13
მონაცემების შეგროვება .....	13
მონაცემების ანალიზი .....	14
ლიტერატურის ანალიზი.....	16
მიღებული შედეგები.....	16
მიღებული შედეგების განხილვა.....	26
რეკომენდაციები.....	30
მადლობები.....	32
ბიბლიოგრაფია .....	33
დანართი .....	39

## აბსტრაქტი

აფალინებს, ისევე როგორც ვეშაპისნაირთა სხვა პოპულაციებს, მნიშვნელოვანი როლი უკავიათ შავი ზღვის ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაში. აღნიშნული სახეობების დაცვა, გარდა მათი გენეტიკური უნიკალურობისა, მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ მათი კონსერვაცია ხელს უწყობს ზღვის ეკოსისტემის სიჭანსაღეს (Notarbartolo di Sciara G., Birkun A., Jr. 2010).

ნაშრომის მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ფოტოიდენტიფიკაციის მეთოდის გამოყენებით შავი ზღვის აფალინების პოპულაციის რიცხოვნობის შეფასება, მასზე მოქმედი საფრთხეების შეჯამება და პოპულაციის გადაშენების ალბათობის განსაზღვრა. მიღებული შედეგების საფუძველზე მოხდა პოპულაციის ტენდენციების გამოვლენა და მისი დაცვის რეკომენდაციების შემუშავება.

2011 წლიდან 2018 წლის ზამთრის პერიოდის ჩათვლით გადაღებული ფოტოების დამუშავების შედეგად გამოიყო კარგად მარკირებული (ბუნებრივი ნიშნის მქონე) 35 ინდივიდი, აქედან 8 ინდივიდი გადაღებული იქნა ორჯერ ან მეტჯერ.

საქართველოს ტერიტორიულ წყლებს მთელი წლის განმავლობაში იყენებს 25-103 აფალინა, ყველაზე დიდი ზომის ჯგუფები აღინიშნა გაზაფხულსა და ზაფხულში, ნაშიერებთან ერთად.

პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის მოდელირებამ აჩვენა, რომ თუ არ შემცირდა დღეისათვის ცნობილი სიკვდილიანობის მაჩვენებელი, პოპულაციას 75 წლის შემდეგ გადაშენება ემუქრება.

## შესავალი